

**უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების
შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ
სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა**

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამა ითვალისწინებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული, რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი, მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების (შემდგომში - "ბენეფიციარი") სოციალურ დახმარებას.

მუხლი 2. პროგრამის სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლეთა შერჩევის წესი პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების მსურველი სტუდენტებისთვის

1. პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი სახის სოციალური დახმარების გაცემას:

ა) მატერიალური წახალისება;

ბ) სწავლის საფასურის დაფარვაში ხელშეწყობა.

2. პროგრამის სამიზნე ჯგუფს, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სოციალური დახმარებისთვის, განეკუთვნებიან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;

ბ) არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილი) წევრები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს;

გ) არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

დ) არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს;

2.1. პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა პროგრამის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიისთვის განისაზღვრება შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე:

- განცხადება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე (სავალდებულოა ნებისმიერი კატეგორიის მქონე სტუდენტისთვის);

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი (სავალდებულოა ნებისმიერი სტატუსის მქონე სტუდენტისთვის);
- საინფორმაციო ბარათი (უკანასკნელი 2 წლის მონაცემებით) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან;
- სტუდენტის საბანკო ანგარიშის ნომერი გაცემული ბანკის მიერ დადგენილი წესით;
- ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის (აქტიური) შესახებ (დედანი);

იძულებით გადაადგილებული (დევნილი) სტუდენტისთვის:

- დევნილის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

სოციალურად დაუცველი სტუდენტისთვის:

- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტისთვის:

- განმცხადებლის და მისი და-ძმების ნოტარიულად დამოწმებული დაბადების მოწმობების ასლები;

მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტისთვის:

- მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის (ფორმა #IV-50/4) დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

2.2. ბენეფიციარი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უნდა იყოს 2005-იდან 2017 წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბაკალავრიატის საფეხურზე და სტუდენტის სტატუსი უნდა ჰქონდეს აქტიური.

2.3. სტუდენტები, რომლებიც განეკუთვნებიან ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორ ან რამდენიმე კატეგორიას დაფინანსდებიან მხოლოდ ერთი კატეგორიისთვის განსაზღვრული თანხის ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ განცხადების შემოტანიდან მხოლოდ მომდევნო თვეების დაფინანსებას.

2.4. პროგრამის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების მიღება განპირობებულია ბენეფიციარის მიერ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილებასა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. გამონაკლისი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

3. პროგრამის სამიზნე ჯგუფს, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული

სოციალური დახმარების სახეობისთვის, განეკუთვნებიან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;

ბ) არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილი) წევრები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 000-ს;

გ) არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

დ) არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 000-ს;

ე) სტუდენტები, რომელთა ოჯახები არ არიან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ან მათი სარეიტინგო ქულა აღემატება 100 000-ს;

3.1. პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა პროგრამის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიისთვის განისაზღვრება შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე:

- განცხადება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე (სავალდებულოა ნებისმიერი კატეგორიის მქონე სტუდენტისთვის);
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი (სავალდებულოა ნებისმიერი სტატუსის მქონე სტუდენტისთვის);
- საინფორმაციო ბარათი (უკანასკნელი 2 წლის მონაცემებით) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (სავალდებულოა ნებისმიერი სტატუსის მქონე სტუდენტისთვის);
- ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის (აქტიური) შესახებ (დედანი) (სავალდებულოა ნებისმიერი სტატუსის მქონე სტუდენტისთვის), გამონაკლისი სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით შეიძლება დაიშვას იმ შემთხვევაში თუ სოციალური დახმარების მიღების მსურველს, სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა/შეუწყდა სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო;
- 2016-2017 სასწავლო წლის (2016 წლის სექტემბრიდან 2017 წლის ივლისის ჩათვლით) ან 2017-2018 სასწავლო წლის (2017 წლის სექტემბრიდან 2018 წლის ივლისის ჩათვლით) სწავლის საფასურის ინვოისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სწავლის საფასურის ოდენობისა და გადახდის ვადის მითითებით) (სავალდებულოა ნებისმიერი სტატუსის მქონე სტუდენტისთვის);
- სრული აკადემიური მოსწრების (შეფასების) დამადასტურებელი დოკუმენტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ქულების მითითებით (100 ქულიანი სისტემიდან) (სავალდებულოა ნებისმიერი სტატუსის მქონე სტუდენტისთვის);

- საქართველოს მთავრობის მიერ 2016-2017 ან 2017-2018 წლების სასწავლო წლის დაფინანსებისთვის განხორციელებული სოციალური პროგრამის ფარგლებში მიღებული უარი. (სავალდებულოა ნებისმიერი სტატუსის მქონე სტუდენტისთვის);

იძულებით გადაადგილებული (დევნილი) სტუდენტისთვის:

- დევნილის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

სოციალურად დაუცველი სტუდენტისთვის:

- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტისთვის:

- განმცხადებლის და მისი და-ძმების ნოტარიულად დამოწმებული დაბადების მოწმობების ასლები;

მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტისთვის:

- მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის (ფორმა №IV-50/4) დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

3.2. პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება სტუდენტის განცხადება, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა რომ მისი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 76-ზე ნაკლებია (100 ქულიანი შეფასების სისტემიდან).

3.3. ბენეფიციარი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უნდა იყოს 2005-იდან 2017 წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბაკალავრიატის საფეხურზე და სტუდენტის სტატუსი უნდა ჰქონდეს აქტიური. გამონაკლისი სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით პროგრამის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით დადგენილი სოციალური დახმარებისთვის შეიძლება დაიშვას იმ შემთხვევაში თუ სოციალური დახმარების მიღების მსურველს, სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა/შეუწყდა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო წლების სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო.

3.4. სტუდენტები, რომლებიც განეკუთვნებიან ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ორ ან რამდენიმე კატეგორიას დაფინანსდებიან მხოლოდ ერთი კატეგორიისთვის განსაზღვრული თანხის ოდენობით.

3.5. განმცხადებლის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით შექმნილი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფი. ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტუდენტების განცხადებების განხილვისას, სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფი ხელმძღვანელობს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ შედგენილი აქტით ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

3.6.გამონაკლისი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

1.პროგრამის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით დადგენილი 2017-2018 წლის სასწავლო წლისთვის განსაზღვრული სოციალური დახმარებისთვის პროგრამის განხორციელების ვადა შეადგენს 2018 წლის 1-ლი იანვრიდან 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

2.პროგრამის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით დადგენილი სოციალური დახმარებისთვის პროგრამის განხორციელების ვადა შეადგენს 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებიდან 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

მუხლი 4.სოციალური დახმარების მოცულობა და განხორციელება

1.პროგრამის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების მოცულობა და მისი განხორციელების მექანიზმი:

1.2.პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ კრიტერიუმებს, სოციალური დახმარება (მატერიალური წახალისება) მოიცავს თვეში 50,00 (ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს, იმ შემთხვევაში თუ 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი საანგარიშო თვის 15 რიცხვის შემდეგ დაიწყო, ან ბენეფიციარმა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას ზემოაღნიშნული დახმარების თხოვნით საანგარიშო თვის 15 რიცხვის შემდეგ მომართა, სოციალური დახმარება შეადგენს ამ ქვეპუნქტით დადგენილი ოდენობის ნახევარს (25,00 ოცდახუთი ლარი და 00 თეთრი)

1.3.ბენეფიციარები პროგრამით დადგენილ მატერიალურ დახმარებას მიიღებენ წარმოდგენილ საკუთარ საბანკო ანგარიშზე თანხის დარიცხვით.

1.4.პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ პროგრამის ბენეფიციარების სია (მონაცემები) ყოველთვიურად შესაბამისობაში მოდის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ მოწოდებულ ელექტრონულ რეესტრთან და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ მოწოდებულ "სოციალურად დაუცველი ოჯახები მონაცემთა ერთიან ბაზასთან".

1.5.ამ მუხლის 1.4 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გადამოწმების შემდეგ თუ ბენეფიციარი აღარ აკმაყოფილებს პროგრამით დადგენილ კრიტერიუმებს მას უწყდება სოციალური დახმარება.

1.6. ბენეფიციარი ვალდებულია მიმდინარე წლის 25 მარტამდე წარმოადგინოს განახლებული ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (რაც დაადასტურებს სტუდენტის სტატუსის აქტიურობას).

1.7. სტუდენტებისთვის, რომლებიც 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სარგებლობდნენ პროგრამის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სოციალური დახმარებით (მატერიალური წახალისება), პროგრამით დადგენილი დახმარების მისაღებად არ მოითხოვება განცხადების ხელმოწერა წარდგენა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში.

1.8. ანგარიშსწორებას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

2. პროგრამის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების მოცულობა და მისი განხორციელების მექანიზმი:

2.1. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ კრიტერიუმებს, მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფარვის ოდენობა შეიძლება შეადგენდეს არაუმეტეს 800,00 (რვაასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. პროგრამით დადგენილი დახმარება გაიცემა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, ინვოისის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშზე.

2.3. ანგარიშსწორებას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის შესაბამისად.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

ბიუჯეტი		65 000,00 ლარი
	მატერიალური წახალისება - 25 000,00 ლარი	სწავლის საფასურის დაფარვაში ხელშეწყობა - 40 000,00 ლარი
I	8 000,00 ლარი	20 000,00 ლარი
II	15 000,00 ლარი	10 000,00 ლარი

III	2 000,00 ლარი	10 000,00 ლარი
IV	0 ლარი	0 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული პროგრამის მე-2 მუხლით განსაზღვრული სტუდენტების მატერიალური დახმარებით წახალისება ან/და მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი